



საქართველოს სოც.

საბჭ. რეპრეზისტის

მუშათა და გლეხოთა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა პრეზიდი

სახალხო კომისართა საბჭოს და მდომოვიზის საბჭოს

საქმეთა მინისტრობის ზამოცვები

1936 წ. სექტემბრის 29.

№ 21

ც ფ ი ღ ი ს ი.

ვ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

ვ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

124. 1936 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
 125. 1936 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

ვ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

124. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

„სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მოქმედების გაგრძობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 20-ის თარიღის და 68/1313 №-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 28-ის თარიღის და 229 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1936 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩატარებულ იქნას შემდეგ საფუძველზე:

კ ა რ ი ს.

ზოგადი დებულებანი.

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:
- 2) კოლმეურნის მეურნეობა;

ბ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობა.

2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან ზემო-სევა-ნეთის რაიონისა, ღუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაკალიგოს, ორხოტის და შა-რილის სასოფლო-საბჭოებისა და თიანეთის რაიონის სოფელ ხაშალის და ბა-ხალის კოლმეურნეები და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი.

3. საგადასახადო წელიწადი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ით-ვლება 1936 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე თანხართვით.

კ ა რ ი ი I I .

კოლმეურნეთა მეურნეობაზე განცხადობაზე გადასახადის ცაფილის დაბაზის.

ა. კოლმეურნეთა გადასახადის გამოანგარიშება.

4. კოლმეურნე, რომელსაც განცხაზოგადოებელი შემოსავალი არა აქვს, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან.

5. იმ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომელთაც აევთ განცხაზოგადოებელი სასოფლო მეურნეობის შემოსავალი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გადა-ჰქმდებათ 10 მანეთიდან 50 მანეთმდე თითო მეურნეობაზე.

დაწესებულ იქნას გადასახადის შემდეგი საშუალო განაკვეთები კოლმე-ურნის თითო მეურნეობისათვის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქები და რაიონებში.

№ რიცხვი	ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და რაიონის სახელწოდება	კოლმეურნის თითო მეურნეობის განა- კვეთი
1	აღიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოვდანოვეის, დუშეთის, თიანეთის, ქვემო-სცვენის, ყაზბეგის, ცაგერის რაიონე- ბი და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	16 მან.
2	აშტარლაურის, აბაშის, ონის, ორჯველიკიძის, ტყიბულის, ჭალკის, გრათურის რაიონები	19 "
3	აბაშის, ბორჯომის, საგარეჯოს, ფოთის, ჩოხატაურის, ჩა- რის, ჩიხოროჭულის რაიონები	22 "
4	ალბულაბის, ბორჩალის, მარტვილის, ყარაიბის, ვაჟა-კაიას, ჭა- ლენჯიხის, ჭულუკიძის, ხობის რაიონებში	25 "
5	თელავის, გარეს, კასპის, სამტრედიას, ტფილისის, ქუთაისის, ჯულეულის რაიონები	28 "
6	ბალდაცის, შუგლიდის, ყვარლის, ხაშურის რაიონები, აფ- ხაზეთის ასპრ და აჭარის ასპრ	30 "
7	გორის, ლანჩხუთის, ლუქესებურგის რაიონები	33 "
8	გურჯაანის, ლაგოდების, მახარაძის და სიღნაღის რაიონები .	35 "

ამ განაკვეთების ფარგლებში: ა) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ფერონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და აწესებენ გადასახადის საშუალო განაკვეთებს ცალკეული რაიონებისათვის; ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და აწესებენ გადასახადის განაკვეთებს ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევაში—ცალკეული კოლმეურნეობებისათვისაც; ამასთანავე, კოლმეურნეობაში ცალკეული მეურნეობებისათვის სხვა-დასხვა განაკვეთების დაწესება არ შეიძლება.

6. კოლმეურნეობა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც, განუსაზოგადოებე-ლი სოფლის მეურნეობის შემოსაველთან ერთად, აქვთ არაყოვნერიებული სა-შინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების მუდმივი შემოსავალი, გადასახადის განაკვეთების გადიდება:

ა) იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც მეჭურჭლეობის რეწაობას მისდე-ვნ, —40%—ით;

ბ) იმ მეურნეობებისათვის, რომლებსაც თავის შედგენილობაში ჰყავთ სა-პარიტანერო რეწაობის მიმდევარი პირები, —40%—ით;

გ) იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც სამშედლო რეწაობას მისდევნ, —45%—ით;

დ) იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც სხვა რეწაობას მისდევნ, ან რომ-ლებსაც თავის შედგენილობაში ჰყავთ სხვა რეწაობის მიმდევარი პირები, —50%—ით.

უკეთ საშინამრეწველო-სახელოსნო რეწაობას შემთხვევით ხასიათი აქვს და ჩისი შემოსავალი უმნიშვნელო, გადასახადის განაკვეთი არ გადიდება.

7. იმ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმტეს ორი შრომულნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შეღავათი ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებზე: როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლე-ბული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20%—ით; როდესაც მე-ურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მე-ურნეობას შეუმცირდება 30%—ით.

მათგაც 16 წლამდე და 60 წლის შემდევ, ხოლო ქალი 16 წლამდე და 55 წლის შემდევ შრომიუნაროთა რიცხვს ეკუთვნიან.

8. ერთიანობული შრომითი მეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობაში შე-ვადა უშედებულ სოფელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის პირველი ვალის დადგომამდე, დაიბეჭრება ამ გადასახადით როგორც კოლმეურნე.

მეურნეობები, რომლებიც მიმდინარე წელს კოლმეურნეობიდან გამო-ვიდნენ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეჭრებიან, როგორც ერთპი-როენული მეურნეობები შემოსავლის იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც მათ აქვთ კოლმეურნეობიდან გამოსვლის დროს.

9. სარეწაო კომიტეტის აღრელების წევრების მეურნეობები სოფლის დაიბეჭრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იმავე საფუძლებზე, რო-გორც იმ კოლმეურნეობაში, რომელთაც აქვთ განუსაზოგადოებელი საშემოსავლო წყაროები, იმ შემთხვევაში:

ଅ) ଉପରେ ସାର୍କରୀ କ୍ରମିକରଣପୁଣ୍ୟଲି ଏକାନ୍ତରେ ଶର୍ଷିଯେଦ୍ଵାରା ଚାହିଁରେ ଏହା ଆଜିରେ ନିର୍ମିତିରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

ବ) ଉପରେ ଆମାର ଏକାନ୍ତରେ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

10. ସାମନ୍ତରିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

ଢ. କ୍ରମିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ.

11. କ୍ରମିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

12. ଶ୍ରେଷ୍ଠ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

13. ସାମନ୍ତରିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

14. ସାମନ୍ତରିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

15. ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

16. ସାମନ୍ତରିକ ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

17. ବ୍ୟାକାରୀ ଏବଂ ଏକାନ୍ତରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ ଏହାରେ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ;

ბ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირებს, შეკრუნება და მესამე ჯგუფს ეკუთვნის.

17. მეურნეობას, სადაც არის სათადარივო სამხედრო მსახური და სამხედროვალდებული პირი, რომელიც გაწევეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებასა და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, ზაც შეტანილ უნდა იქნას სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

18. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივის რის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

19. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ტყის იმ მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვისათვის თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით.

20. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათების გარდა, კოლხეურნეს ეძღვა აგრეთვე შეღავათები 45, 46 და 51 მუხლების წესისამებრ.

გ. კოლმეურნეთა მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

21. გადასახადი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ვადებზე:

1-ლი ვადა — იქტომბრის 1—25% შენაწერი გადასახადისა

მე-2 ვადა — ნოემბრის 15—50% " "

მე-3 ვადა — დეკემბრის 15—25% " "

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შეცვალონ გადასახადის გადახდის ზემოაღნიშნული ვადები რაიონებისათვის — ისე კი, რომ გადასახადის მოელი გამოანგარიშებული თანხა გადახდევინებულ იქნას საგადასახადო წლის დეკემბრის 15-მდე.

22. გადასახადის გადახდისათვის დაწესებული ვადები აუცილებლად გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის, გამოცხადდება სასოფლო ყრილობაზე, შეიტანება საგადასახადო უწყებაში და მოელი საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

კ ა რ ი III.

მრთვისონაზული შრომითი მუშაობების დაბეგრძნება.

ა. ზოგადი დებულებანი.

23. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითული ერთპიროვნული შრომითი მეურნეობისათვის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს შემდეგ წყაროებიდან:

- ა) მემინდევრეობა;
 ბ) მეველეობა;
 გ) ყოველგვარი ოთხფეხა საქონელი;
 დ) სოფლის მეურნეობის შემდივი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღეობა, მებაღეობა, მევენახეობა, ციტრუსოვანი და დაფნის ნარგავები, ჩიის პლანტაციები, მეთამბაქოეობა, მებამბეობა, კარტოფილის ნათესი და სათიბი;

ე) შინამრეწველობა, სახელოსნო რეწაობა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოგარი, გარდა სამუზია ხელფასისა, რაც დაიბეგრება საშემოსაცლო გაღა-სახადით მუშაობის ადგილას.

შენიშვნა 1. მეთევზეობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასა-ხადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც და-კერილ თვეზე არ იძარებს კონტრაქტიცით სახელმწიფო სათევზაო მნიშ-ვნელობის საწარმოს ან კოოპერაციულ ორგანიზაციის.

შენიშვნა 2. ნაღირობის რეწაობის შემოსავალი განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

24. ის წყარო, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გაღასახადით იძეგრება, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ა) სარეწაო გადასახადით იმ საწარმოს და რეწაობისათვის, რომელიც იძეგრება ბრუნვის პროცენტული შეფარდებით;

ბ) წყლის გამოსალებისა—სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში;

გ) საბილეთო გამოსალებისა—თვეზის სარეწაო კერის უფლებისათვის.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადა-სახადით იძეგრება, აგრძეთვე იმ აღნავიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ და-კავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, მიწის რენტა გადახდე-ვინებულ არ უნდა იქნას.

ის შენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მე-ურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

25. ქალ. ტფილისა, ბათომისა, სოხუმისა, ქუთაისისა, ფოთსა, თელავსა, სიღნაღმა, გორისა, ხაშურსა, ბორჯომისა, კიათოურასა და გაგრაში ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობის ეწევა, გარდა 55 მუხლის თანახმად დასაბეგრი მეურნეობებისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

ყველა დანარჩენ ქალაქებში და ქალაქებში ტიპის დასახლებულ ადგილას ის მოქალაქენი, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან, როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ი. ე არასამიწათმოქმედო საშოგრის მიხედვით; ხოლო, ამასთანავე, სასოფლო-სამეურ-ნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ მიჩე-ნილი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გამოსადევი მიწა (გარდა საე-ზოვე ნაკვეთებისა), თუნდაც მათ ჰქონდეთ სამომხმარებლო ხასიათის ბოსტანი,

ხილის ბალი, ვენახი და სხვ. არა უმეტეს 0,05 ჰექტარისა, უკეთუ, ამას შემოსავალი ამ პოფლის მეურნეობის სხვა ძირითადი დარგების ნორმატიული შემოსავალი ამ მეურნეობაში არ აღმატება 50 მანეთს წელიწადში, ან უკეთუ ამ მეურნეობას აქვს შემოსავალი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგებიდან.

ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მეურნეობანი დაიბეგრებიან სხვა გადასახადებით ქალაქის დანარჩენი მოსახლეობის თანაბრად.

26. ის მოქალაქენი, 55 მუხლის თანახმად დასაბეგრა გარდა, რომელნიც ცხოვრობენ ქალ. ტფილისსა, ბათომშა, სოხუმშა, ქუთაისსა, ფოთსა, თელავსა, სიღნაღმა, გორსა, ხაშურსა, ბორჯომშა, ქიათურასა და გაგრაში და რომელთაც აქვთ სოფლის მეურნეობა ამ ქალაქების გარეშე, სასოფლ-სამეურნეო გადასახადს გადაიხდიან იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც ისინი სოფლად იღებენ.

საქართველოს შემოსავლისათვის ისინი დაიბეგრებიან სხვა გადასახადით ქალაქის დანარჩენი მოსახლეობის თანაბრად.

ბ. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა.

შემოსავლი იანობის ნორმები.

27. შრომითი მეურნეობის მემინდვრეობის, მეველეობის, მესაქონლეობის, მებოსტრეობის, მებაღეობის, მებალეობის, მევენახეობის, ციტრუსოვანი და დაფნის ნარგებებია, ჩაის პლანტაციების, მეთამბაქოეობის, კარტოფილის ნათესისა და სათიბის შემოსავალი განისაზღვრება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

28. საქართველოს სსრ-ის ცალკეული აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის (ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქებისა და რაიონებისათვის) დაწესებულია შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები მანეთობით [ს. შემოსავლიანობის ნორმების ცხრილი—გვ. 324—325].

29. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმებს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შედეგნილობაში შემავალი ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დააწესონ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები ცალკეული სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისათვის. ამასთანავე, თვითეულ რესპუბლიკასა, ოლქსა და რაიონში უცელელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის ის საერთო თანხა, რაც განსაზღვრულია მთლიანად რესპუბლიკის, ოლქისა თუ რაიონისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

30. 28 და 29 მუხ. წესისამებრ დაფგნილი ნორმები შემოსავლიანობისა გათი გამოქვეყნების შემდეგ არ შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო წლის განმავლობაში.

მემინდვრეობის, მეველეობისა და სოფლის მეურნეობის
სპეციალური დარგების შემოსავლის განსაზღვრა.

31. მემინდვრეობის, მეველეობის, მებოსტნეობისა, მებამჩეობის, მევნახეობის, მებამლეობის, ციტრუსოვანი და დაფნის ნარგავების, ჩაის პლანტაციების, მეთაბაზაქეობის, მებამბეობის, კარტოფილის ნატესისა და სათიბების დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება:

ა) საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების მთელი ნატესი ფართობის მიხედვით, ხოლო არა ნაკლებ იმ ფართობისა, რაც განსაზღვრულია მიმდინარე წლის თესვისათვის სახელმწიფო გეგმით;

ბ) სათიბის და მრავალწლიანი ნარგავის (ბალი, ვენახი, ციტრუსები და სხვ.) ფაქტური ფართობის მიხედვით.

ოთხეწა საქონლის შემოსავლის განსაზღვრა.

32. ოთხეწა საქონლის შემოსავლის განსაზღვრისათვის სათვალაქში მიღება:

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი 3 წლიდან და აქლემი 4 წლიდან;

ბ) ბუღა 3 წლისაზე უხნევს;

გ) ძროხა და ფურ-კამეჩი პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე უხნევს;

დ) ნაბამთრი ცხვარი და თხა.

ოთხეწა საქონლის წლოვანება გამოიანგარიშება საგადასახადო წლის აისის 1-ლისათვის.

არასამიწათმოქმედო შემოსავლის განსაზღვრა.

33. არასამიწათმოქმედო საშოვარი ალირიცხება მთელი დროისათვის აგადასახადო წლის წინა წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

34. არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობას თვითეული ერთპიროვნული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და ლამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

ამასთანავე, რეწვის საერთო შემოსავლიდან გამოირიცხება ძირითადი საწარმოო ხარჯები: ნედლეულის, ნახევარფამრიკატის, სათბობი მასალისა და სხვა.

ამ წესით განსაზღვრული შემოსავალი მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში ჩაირიცხება შემდეგი რაოდენობით:

ა) საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების შემოსავლის 50% -ით;

ბ) ზიღვა-გადაყვანის რეწაობის და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრის შემოსავლის 60% -ით;

გ) სადგომების გაქირავებით მიღებული შემოსავლის 50% -ით: აღიგენის, ასპინძის, ალბულახის დაბა მანგლისის გამოკლებით, ახალქალაქის, ბაჟკიჩითის, ბოგდანოვების, ბორჩალოს, გურჯაანის, ვანის, თიანეთის, კასპის, ლუქსემბურგის, მარტივილის, საგარეჯოს, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხორიწყუს, წალენჯიხის, წალენისა და ხობის რაიონებში,

და 70% -ით დანარჩენ რაიონობის, ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტოლექში;

დ) წისქვილის შემოსავალი 70-%-ით;

ე) ხე-ტყის დამზადებაზე (ხე-ტყის დამუშავება, გამოზიდვა, ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფის დამუშავებაზე მუშაობის შემოსავალი 20%-ით.

ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ შეამცირონ ცალკეული რაოდნებისა და სასოფლო საბჭოებისათვის სადგომების გაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის ზემოაღნიშნული რაოდნობა, ხოლო ისე, რომ ეს რაოდნობა გაქირავებით მიღებული შემოსავლის 50%-ზე ნაკლები არ იყოს.

კონპერიორებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს თავის პროდუქციის არტელში ჩაბარებით, არ დაიბეგრება სასოფლო-სამუშაონეო გადასახადით, არამედ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სამუშაო ხელფასისათვის დადგენილი წესისამებრ.

ხოლო კონპერიორებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს პროდუქციის გაყიდვით თავისი არტელის გარეშე, ჩაირიცხება მეურნეობისა და საბეგრი შემოსავლის შედგენილობაში არაკონპერიორებულ შინამრეწველთა შემოსავლის თანაბრად.

გ5. აკრძალულია ინდივიდუალური წესით დაბეგვრა (უკეთუ არ არის სხვა რამ ნიშნები მეურნეობის კულაკები მეურნეობათა რიცხვისათვის მისაკუთხებლად) იმ შინამრეწველებისა და ხელოსნებისა:

ა) რომელნიც რეწაობაში იყენებენ დაქირავებულ შრომის, თუ ეს არ იწვევს საარჩევნო უფლების ჩიმორთმებას;

ბ) რომელნიც თავის რეწაობაში იყენებენ მექანიკურ ძრავს, გარდა წისვილის, საბურლულის, ფერვასაბურლველის, ზეთის სეზდელის, კარავის სადლევებელის, ბოჭკოს საჩერელისა და ბატყლის საპენტისა, უკეთუ რეწაობა წარმოებს დაქირავებული შრომის გამოყენებულად.

ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლის აღრიცხვა.

გ6. ერთპიროვნული მეურნეობის შემოსავალი, მიღებული ბაზარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით, განისაზღვრება მთელი იმ დროის მიხედვით, რაც გაიღლის საგადასახადო წლის წინა წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღრიცხვიდან საგადასახადო წლის აღრიცხვამდე.

გ7. იმ შემოსავლის ოდენობას, რასაც მეურნეობა მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვით, განსაზღვრავს სასოფლო-საბჭო და დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

ეს შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში შემდეგი რაოდნენობით:

ა) მეურნეობის საბაზრო შემოსავლის თანხის 50%, აგხაზეთის ასსრ-სა, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ-ისეთის ავტ. ოლქში და აბაშის, აღიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხეს, ბაშკიჩის, ბოგდანოვეკის, ბორი-

ჯომის, დუშეთისა, თიანეთის, ლანჩხუთის, მარტვილის, მახარაძის, რინქის გამოცემისათვის კუნძულის, ტყოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის ჩხოროწყუს, ცაგრის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურისა და ხობის რაიონებში;

ბ) მეურნეობის საბაზრო შემოსავლის თანხის 55%-იან ბულახის, ბალდა-დის, ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ვანის, ზუღდიდის, თელავის, კასპის, ლა-გოდეხის, ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნალის, ტფილისის, ქუ-თაისის, ყარაის, ყვარლის, ცხაქაის, წულუკიდის, ხაშურისა და ჯულელის რაიონებში.

ამა მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილი, რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ამ რაიონებისათვის დაწესებული ოდენობა ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული დასაბეგრი შემოსავლისა შეამცირონ 50%-მდე იმ ცალკეული სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისათვის, სადაც ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი უმნიშვნელო.

ვ8. შემოსავალი, რაც მიღება პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კომპრაციისათვის მიყიდვით, გადასახადით არ დაიბეგრება.

ვ9. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობის გადასახადის გამოანგარიშება.

ვ10. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთთა შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა (მანეთობით)	მეურნეობის გადასახადის რაოდენობა (მანეთობით)	მეურნეობის დასაბეგრი შემო-სავლის რაოდე-ნობა (მანეთო-ბით)	მეურნეობის გადასახადის რაოდენობა (მანეთობით)
100 მან-მდე	15	451—475	81
101—125	17	476—500	89
126—150	20	501—525	97
151—175	24	526—550	105
176—200	28	551—575	118
201—225	32	576—600	121
226—250	36	601—625	129
251—275	40	626—650	137
276—300	44	651—675	145
301—325	48	676—700	154
326—350	52	701—725	164
351—375	56	726—750	174
376—400	60	751—775	185
401—425	66	776—800	196
426—450	73		

801 მან-დან 1.000 მან-დე—200 მან.+40 კაპ. 800 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითოულ მანეთზე.

1.000 მან-დან—2.000 მან-დე—280 მან.+44 კაპ. 1.000 მან. მეტი შემოსავლის თვითოულ მანეთზე.

2.000 მან-დან—3.000 მან-დე—720 მან.+48 კაპ. 2.000 მან. მეტი შემოსავლის თვითოულ მანეთზე.

3.000 მან. მეტი—1.200 მან.+55 კაპ. 3.000 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითოულ მანეთზე.

40. ერთპიროვნულ მეურნეობათა გადასახადის განაკვეთი ყველა შემთხვევაში უნდა იღება ტებოდეს განსახლვრულ ოდგილას კოლმეურნეებისათვის დაწესებულ განაკვეთს არა ნაკლებ, ვიდრე 25%/-ით.

41. იმ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შელაგათი ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებზე: როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 10%/-ით; როდესაც მეურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20%/-ით.

მაგალით 16 წლამდე და 60 წლის შემდეგ ხოლო ქალი 16 წლამდე და 55 წლის შემდეგ შრომაუნაროთა რიცხვს ეკუთვნიან.

42. ის მეურნეობა, რომელიც ბოროტი განზრახვით არ ასრულებს თესვის მიცემულ გეგმას და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებას, დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით საერთო საფუძველზე, ხოლო გადასახადის თანხა შეს გაუორეკეცდება. ამ მეურნეობას არავითარი შელაგათი (მათ შორის მე-41) მუხლით გათვალისწინებული შელაგათი(?) სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე არ ეძლევა. ამ ვეურნეობების სიას დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

დ. ერთპიროვნული შრომითი შეურნეობების შედაგათები.

მცირებალოვან მეურნეობათა შეღავათები.

43. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სასოფლო საბჭოს მიერ წარდგენილი სიის მიხედვით, შეუძლია სრულიად ან ნაწილობრივ გაანთვისუფლოს გადასახადისაგრძენ მცირებალოვნების გამო ის ერთპიროვნული შრომითი მეურნეობა, რომელსაც არა ჰყავს ოჯახის შრომაუნარიანი წევრი, უკეთუ, ამას-თანავე, ამ მეურნეობაში არ არის მსხვილფეხა საქონელი.

მუშა-შორისაში ახურეთა შეღავათები.

44. მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთაც აქვთ დამხმარე ხასიათის სასოფლო მეურნეობა, ხოლო რომელნიც კოლმეურნეობის წევრიდ არ ითვლებიან,

გაერცელდება მე-10 მუხლი, უკეთუ მათი დამხმარე ხასიათის სასოფლო-მეურნეობისა
ბა არ აღემატება იმ ოდენობას, რაც ნებადაროთულია სასოფლო-სამეურნეო არ-
ტილის წესდებით უწყებული რაიონის კოლმეურნეთათვის.

მუშა-მოსამსახურის მეურნეობა, რომელიც საესპერება ამა მუხ-
ლით გათვალისწინებულ პირობებს, ხოლო უკეთუ მისი ძირითადი მომზავე
მუდმივ სამუშაოზე იმყოფება დაქირავებით ერთ წელიწადზე ნაკლები დროის გან-
მავლობაში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება კოლმეურნეთა მეურ-
ნეობებისათვის დაწესებული განაკვეთით.

ის მუშა-მოსამსახურენი, რომელიც ამა მუხლის ძალით სასოფლო-სამეურ-
ნეო გადასახადით არ იბეგრებიან, შენობის გადასახადით და შიწის რენტით
დაიბეგრებიან საერთო წესისამებრ.

45. იმ პირის მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი დააკონტრაქტა ან მია-
მაგრა ქვანაბშირის ან მარგანეცის მრეწყელობაში მიწისქვეშ მუშაობისათვის
წელიწადზე არა ნაკლები ვადით, განთავისუფლდება გადასახადისაგან. უკეთუ
აღნიშნული პირი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, სასოფლო-სამეურნეო
გადასახადი მის მეურნეობას გადახვდება საერთო საფუძველზე.

46. გადასახადისაგან განთავისუფლდება რეინის გზის, წყალსავალი გზის,
გზატკეცილებისა და ყამირგზების ტრანსპორტის სახაზო მომუშავის შემოსავალი
ყოველგვარი სახის სასოფლო-მეურნეობისა ტრანსპორტისათვის მიჩნილ მი-
წაზე.

იმ მეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედის
შედის საბჭოთა კავშირის გმირი, ორდენით დაჯილდობული პირი და შრომის გმირი;

პირი, შრომის გმირი და აგრეთვე ინვალიდი.

47. შეღავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის ორდენით ან საპატიო რევო-
ლუციური იარაღით დაჯილდობული პირი და შრომის გმირი;

ბ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე
და მესამე ჯაფუტს ეკუთვნის.

ჩამოთვლილ მეურნეობებს შეწერილი გადასახადი შეუმცირდებათ 20 მანე-
თით, უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომისუნარიანი მამაკაცი, და 30 მანე-
თით, უკეთუ მეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი მამაკაცი არ არის.

უკეთუ მეურნეობაში არის ამა მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიების რამ-
დენიმე პირი, შეღავათი მეურნეობას მიცეცებით თვითულ ასეთ პირზე.

გადასახლებულთა შეღავათები.

48. ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც საგეგმო წესით გადასახლდა
1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ, ეძლევა შელავჭით სპეციალურ დადგენი-
ლებათა საფუძველზე.

სტიქიური უბედულებისაგან დაზარალებულ მეურნეობის შეღავათები.

49. სტიქიური უბედულებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ, მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისა და მეურნეობის ძალოვნების მიხედვით.

სხვა შეღავათები.

50. მეურნეობას, რომლის შედეგნილობაშიც შედის სათადარიგო სამხედრო მსახური და სამხედროვალდებული პირი, გაწვეული ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, ვადა ვადასახადის იმ ნაწილის ვადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნას სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, ვადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

51. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ოქროს და პლატინის მრეწველობაში მომუშავე პირთა მეურნეობები.

52. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივის რის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შერისძიებით სოფლის სოკიალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

53. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ტყის იმ მომუშავის ოჯახი, რომელიც მოქლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვისათვის თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების დროს ამ ასრულებასთან დაკავშირებით.

ე. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების მიერ გადასახადის გადახდის გადები.

* 54. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობები გადასახადს გადაიხდან იმავე ვადებშე, რაც დადგენილია კოლმეურნეებისათვის (მუხ. 21—22).

კ ა რ ი IV.

არაზრდითი ჭამოსავლის გეოლოგიური მრავალ მიურნეობათა დაბეჭ-
ვა.

55. ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი, რომელთაც აქვთ არაზრდითი შემოსავალი (შემოსავალი შესყიდვა-გაყიდვით, მუშა-ხელის დაქირავებით), მათ შორის კულაკური მეურნეობანიც, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთებით, ხოლო არა საშემოსავლო ნორმების კვალობაზე, არამედ ნამდვილი შემოსავლის მიხედვით. ამ მეურნეობების სიებს და თვითეული მეურნეობის შემოსავლის ოდენობას დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

56. 55 მუხლის თანახმად გადასახადით დაბეგრილი მეურნეობა გადასახადის იხდის 21 და 22 მუხლში აღნიშნულ ვალებზე.

კ ა რ ი V.

ჩადასახადის გადახდების თრგაონები. გაცეკადებათა და საჩივართა ფეტანის და განებილების ფესი.

57. პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისწორით და დროულად ჩატარებისათვის სოფლიდ დაეყისრება სასოფლო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქ-ადგილებში, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი პირნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან,—საქართველო საბჭოებს.

58. სასოფლო საგადასახადო კომისია—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის, სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის თავმჯდომარისა და სათანადო კოლმეურნეობის თავმჯდომარის შედგენოლობით—აწარმოებს კოლმეურნეულზე და ერთპიროვნულ მეურნეობებზე გადასახადის დარიცხვას. სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილებას ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

59. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო მოვალეა წარუდგინოს საფინანსო ორგანიზო, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, მათი მოთხოვნილებისამებრ, ცნობა იმ თანხების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთ მიეცემათ.

60. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ყველა განცხადება და საჩივარი გადასახადის შესახებ შეიტანება სასოფლო საბჭოში, რომელიც მოვალეა დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სასოფლო საგადასახადო კომისიის.

სოფლის საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნას სარაიონო საგადასახადო კომისიაში.

61. სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამართველოებში—ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქ-ში და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

62. განცხადებათა და საჩივართა შეტანისა და განხილვისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არა სისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვი განცხადება შელავათის შიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული შელავათისა, შეტანილ უნდა იქნას არა უკვიანეს 10 დღისა გადამხდელისათვის. საგადასახადო უწყების ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შელავათის მიცემის შესახებ, უკეთ სტიქიური უბედურება შემოსავლის წყაროების აღრიცხვამდე მო-

ხდა, შეტანილ უნდა იქნას აღრიცხვის დასაწყისს; დანარჩენ შემთხვევაში შემოგანიხილა კუბადება შეიტანება 10 დღის განმავლობაში დღითან სტატიური უბედურებისა.

63. განცხადება და საჩივარი განხილულ უნდა იქნას ორა უგვიანეს 10 დღისა მისი შეტანის დღიდან.

64. განცხადების და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოიტანილია გადახდელის სასარგებლოდ, არასისწორით გადახდევინებული თანხა და ჩამორთმეული ქონება დაბრუნებულ უნდა იქნას 10 დღის ვადაზე. უკეთ ქონების დაბრუნება, მისი გაყიდვის გამო, შეუძლებელია, ანაზღაურებულ უნდა იქნას ამ ქონების სრული ღირებულება.

კ ა რ ი VI.

გადამზღველთა პასუხისმგებლობა.

65. შემოსავლის წყაროს დამალვისათვის გადამზღველი დაჯარიმდება სააღმინისტრაციო წესით, ან მიიცემა პასუხისმგებაში სასამართლო წესით.

ჯარიმის დაადებს სასოფლო საბჭო. ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს მეურნეობის გადასახადის მთელ თანხას იმაზე მეტად, ვიდრე ერთი-ორად.

სასოფლო საბჭოს დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

66. უკეთ კოლმეურნის მეურნეობა და ერთპიროვნული მეურნეობა გადასახადს კანონით დაწესებულ ვადაზე არ გადაიხდის, სასოფლო საბჭო მოვალეა შეუფარდოს ასეთ მეურნეობას იძულებითი გადახდევინების ლონისძიება გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების მიზედვით.

კერძოდ, იმ გადამზღველის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიშერება და გაიყიდება. ხოლო ვადის გადაცილებისათვის მას გადაპხდება საურავი შემდეგი რაოდენობით: კოლმეურნეს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობას— $0,2\%$, ხოლო კულაკურ მეურნეობას— 1% . თვითეული ვადაგადაცილებული დღისთვის.

კ ა რ ი VII.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თახეის განაწილება.

67. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული ყველა თანხა მიიქცევა აღვილობრივ ბაზარუტში შემდეგი წესების დაცვით:

ა) საქართველოს სსრ ყველა რაიონში უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიღებული გადასახადის თანხის არა ნაკლებ 10% -ისა მიიქცევა უშუ-

ალოდ სასოფლო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი ნაწილი—სათანადო საგრანტო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის რაიონებისა;

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში გადასახადით მიღებული თანხა, გარდა იმ ნაწილისა, რაც ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული წესისამებრ მიიქცევა სათანადო სასოფლო ბიუჯეტში, განაწილდება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტებსა და ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის ბიუჯეტებს შორის;

გ) საქალაქო მიწებზე მიღებული გადასახადის თანხა მიიქცევა მთლად საქალაქო ბიუჯეტში.

კ ა რ ი VIII.

ინსტრუქცია აშა დადგენილების შეცარდებისათვის.

68. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი გ. კვირიკაძე.

1936 წ. აგვისტოს 11. № 976-ა.

ტფილისი.

125. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

„სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივნისის 20-ის თარიღის და 68/1311 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იღენს:

1936 წელს საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა ჩატარებულ იქნას შემდეგ საფუძველზე:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრა, მის კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაქმიანებილებლად, ხორციელდება საქართველოს სსრ-ში სოფლად, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და ქალაქებში, გარდა ქალ. ტფილისის, ბათომის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, სიღნალის, გორის, ხაშურის,

ბორჯომის, ჭიათურისა, და გაგრისა, ზემო-სეანეთის რაიონისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების სოფ-ლებისა და თიანეთის რაიონის სოფლების—ხაშლისა და ბაჩილისა.

შენიშვნა. დანარჩენ ქალაქებში, გარდა ამა მუხლში ჩამოთვლილი ქალაქებისა, თვითდაბეგვრა ვრცელდება მხოლოდ იმ მოსახლეობაზე, რომელიც მისდევს სოფლის მეურნეობას და იბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

2. თვითდაბეგვრით შეგროვილი სახსარი აღვილობრივ ბიუჯეტში არ ჩაირიცხება და განაწილდება შემდეგნაირად:

ა) ამ სახსრის 65%-მდე უნდა მიიქცეს სასკოლო მშენებლობაზე სოფლად, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დასამატებლად; სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ—გადაანაწილონ ხოლმე ეს სახსარი სასოფლო საბჭოებს შორის რაიონის შიგნით, სასკოლო მშენებლობის გეგმის მიხედვით;

ბ) ამ სახსრის არა ნაკლებ 35%-ისა დატოვებულ უნდა იქნას სისოფლო საბჭოების განკარგულებაში სოფლის იმ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რაც სასოფლო ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის.

3. თვითდაბეგვრის ჩატარება შეიძლება მხოლოდ უწყებული სოფლის საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით.

თვითდაბეგვრის შემოღებისათვის საჭიროა კრებას დაესწროს უწყებული სოფლის საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც. უკეთუ კრებაზე არ გამოცხადდა მოქალაქეთა ასეთი რომელიმება, მოწვევა მეორე კრება, რომელიც უფლებამოსილად ითვლება, თუ კრებაზე საარჩევნო უფლებისმქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი.

თვითდაბეგვრა შემოიღება კრებაზე დამსწრე მოქალაქეთა შეის უმეტესობით. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ცველა მოქალაქისათვის.

4. მოქალაქეთა საერთო კრება იხილავს იმ ლონისძიებათ, რაც ჩატარებულ უშდა იქნას თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსრით, და აწესებს თვითდაბეგვრის განაკვეთებს გადახდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში; დგრეთუ აწესებს თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადებს.

შენიშვნა. თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადები განისაზღვრება ისეთი ვარიუდით, რომ გამოსაღების გადახდა დაწყებულ იქნას არა უგვიანეს სახადასახადო წლის სექტემბრის 15.-ისა და დამთავრდეს დეკემბრის 1-თვეს.

5. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ:

ა) კოლმეურნენი;

ბ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობის;

გ) მუდმივ სოფლად მცხოვრები მოქალაქენი, თუნდაც ისინი სოფლის შემცირებულების არ აწარმოებდენ.

6. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ სოფლის მეურნეობის არა-მწარმოებელი:

ა) მუშები და მოსამსახურები;

ბ) საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირის ორდენით ან საპატიო რე-ვოლუციური იარაღით დაჯილდოებული პირები და შრომის გმირები;

გ) საკადრო საკომინდო და თავმდგომთა შედგენილობის, საკადრო უმც-როს საკომინდო და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი, რომელ-ნიც ვადიან და ზევადიან სამსახურში არიან, და საკადრო სამერიკეო შედგენი-ლობის სამხედრო მსახურნი, რომლებიც ვადიან (თვითდაბეგვრის გატარების წლის შემოდგომაზე გაშვეულთა ჩათვლით) და ზევადიან სამსახურში არიან;

დ) ინგალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებუ-ლი ომისა და შრომის ინგალიდები;

ე) პენსიონერები, რომლებიც პენსიის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან იღებენ;

ვ) სტიპენდიაზე მყოფი მოსწავლენი;

ზ) კოოპერიტურებული შინაგანი შველები და ხელ-უსწები.

შენიშვნა. „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი სამხედრო მსახურნი თვითდა-ბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ აგრძოვე იმ შემთხვევებშიაც, უკეთუ ისინი დათხოვნილ არიან გრძელვადიან შეებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან საგადასახადო წლის იანვრის 1-ლის შემდეგ.

7. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ მიიღებს კოლმეურნეობის წევრი მუშისა და მოსამსახურის მეურნეობა, რომლის ძირითადი შრომაუნარიანი მომუ-შვე თვითდაბეგვრის გატარების მოშენტისათვის მუდმივ სამუშაოზე იმყოფება დაქირავებით არა ნაკლებ, ვიდრე ერთი წელიწადი, ხოლო ამ მეურნეობის და-ნარჩენი შრომაუნარიანი წევრები, გარდა მოსწავლეებისა და იმ პირისა, რომე-ლიც საოჯახო სამშაოს ეწევა, აგრძოვე დაქირავებით მოშაობენ.

8. იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთაც აქვთ დამხმარე ხასიათის სასოფ-ლო მეურნეობა, ხოლო რომელიც კოლმეურნეობის წევრებად არ ითვლებიან, გა-ვრცელდება ამა დადგენილების მე-7 მუ., უკეთუ მათი დამხმარე ხასიათის სა-სოფლო მეურნეობა არ აღმატება იმ ოდენობას, რაც ნებადართულია სასოფ-ლო-სამეურნეო არტელის წესდებით უწყებული რაიონის კოლმეურნეთათვის.

მუშა-მოსამსახურეთა ის მეურნეობები, რომლებიც საესებით შეეფერებიან აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ პირობებს, ხოლო უკეთუ მათი ძირი-თადი მომუშავე მუდმივ სამუშაოზე იმყოფება დაქირავებით ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას მიიღებნ იმ განაკვეთით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავი კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის.

9- სარეწო კოოპერაციული ორტელების წევრთა მეურნეობები სოფლად თვითმდებარებული მონაწილეობას იღებენ იმავე საფუძვლებზე, როგორც კოლმეურნენი, რომელთაც აქვთ განუსაზოგადოებელი საშემოსავლო წყაროები:

ა) უკითხ სარეწო კოოპერაციული ორტელის წევრს არა აქვს ისეთი სასოფლო მეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობის წესდების თანახმად განსაზოგადოებულ უნდა იქნას;

ბ) უკითხ, ამასთანავე, აღნიშნული მეურნეობის ყველა შრომაუნარიანი წევრი, მოსწავლეთა და დიასახლისის გარდა, ითვლება სარეწო არტელის ან კოლმეურნეობის წევრად, ან მუშაობს დაქირავებით.

10. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი თვითდამუგდრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

გადამხდელთა კატეგორიები

თვითდამუგდრის რაოდენობა მეურნეობაშე წელიწადში

1. კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელიც მიმდინარე წელს სრულად გადამხდელი არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან

5 მან.

2. კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელიც იძეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით

5—15 მან-მდე

3. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი

შესწორილი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 60%

4. ერთპიროვნული: საგდებო მეურნეობანი, რომელთაც აქვთ არა-შრომითი შემოსავალი (შესყიდვა-გაყიდვით, მუშა-ხელის დაქირავებით), მათ შორის კულატური მეურნეობებიც (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახები დადგენილების 55 შეხ.)

შესწორილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 200%

თვითეულ სოფელში დაწესდება თანაბარი მტკიცე განაკვეთი კოლმეურნეთა ყველა მეურნეობისათვის, რომელიც იძეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

ყველა შემთხვევაში თვითდამუგდრის განაკვეთი, რასაც ერთპიროვნული მეურნეობა ფაქტიურად იხდის, უნდა აღემატებოდეს არა ნაკლებ, ვიდრე 25% ე-ით, თვითდამუგდრის იმ განაკვეთს, რაც ამ ადგილას დაწესდებულია იმ კოლმეურნებისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იძეგრებიან.

11. სასოფლო საბჭოს წარდგენით სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შექმნია სრულიად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს თვითდამუგდრისაგან კოლმეურნეთა მეურნეობანი და აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ ოჯახის შრომითი მეურნეობანი წევრი, უკითხ, ამასთანავე, მეურნეობაში არ არის მსხვილფეხა საქონელი.

12. სოფლიად მცხოვრები არაკომპერიტობული შინამრეწველები და სტატუსის ნები, რომელიც მეტარენობას არ აწარმოებენ, და სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შრომითი შემოსავალი არა დაქირავებით, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

წლიური შემოსავლის რაოდენობა	თვითდაბეგვრის რაოდენობა
900 მანეთამდე	7 მან.
900 მანეთშე მეტი 1.500 მან-მდე	15 "
1.500 " " 2.100 "	20 "
2.100 " " 2.700 "	45 "
2.700 " " 3.300 "	60 "
3.300 მანეთშე მეტი	80 "

სასოფლო-საბჭოებს უფლება აქვთ ცალკეულ შემთხვევაში გაანთავისუფლონ თვითდაბეგვრისაგან არასამიწათმოქმედო შემოსავლის მქონე მოქალაქენი, უკი-თუ ეს შემოსავალი არ აღმატება 480 მანეთს წელიწადში.

13. თვითდაბეგვრის რაოდენობა მე 12 მუხლში აღნიშნულ პირთათვის განისაზღვრება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის გამოაწერიშებული შემოსავლის კვალობაზე.

14. ის პირნი, რომელიც სოფლის მეურნეობას არ მისდევენ და აქვთ საშემოსავლო გადასახადით დასახელო არა შრომითი შემოსავალი, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ იმ თანხის 100 პროცენტის რაოდენობით, რაც მათ დაეკისრებოდათ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით რომ დაბეგვრილი ყოფილებები თავიანთი შემოსავლის კვალობაზე.

15. საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ სასოფლო საბჭო წარუდგენს თავისი დასკვნით სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის განსახილველად.

უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი 10 დღის ვადაზე არ აცნობებს სასოფლო საბჭოს, რომ დადგენილება გაუქარებულია, დადგენილება ძალაში შესულად ითვლება და სავალდებულოა. უწყებული სოფლის ყველა მოქალაქისათვის.

16. სასოფლო საბჭო აგროვებს თვითდაბეგვრის თანხებს მოქალაქეთა საერთო კრების შეიქ დადგენილ ვადაზე.

თვითდაბეგვრის გამოსალების ნარჩენი გადაიხდევინება იმავე წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლი შეიტყოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. კვრიკაძე.

1936 წ. აგვისტოს 16. № 1004.

ტფილისი.

ფახ 40 კაბ.

გამოცემები სსრ ს. კ. ს-ოს 1936 წ. № 41.3/მ. რედაქტორი ვ. გამირამილი
საქ. მმართველისა

ჭადალდის ფორმატი 62X94 სმ; 1 1/2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტანდ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 17/VIII; ხელმიწვრილია დასაბეჭდად 27/IX; ტირაჟი 2.000
შეთვლ. რწმ. № 87066. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკა. № 806.